2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარგადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარება

ძირითადი საშუალებები პირველადი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით.

თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებით და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

ძირითადი საშუალებები, რომელიც გამოიყენება ძირითადი საქმიანობისთვის, ადმინისტრაციული ან გაქირავებისთვის, ან არის მშენებარე მდგომარეობაში, აღრიცხულია მის თვითღირებულებასა და გაუფასურების ღირებულებას შორის სხვაობით. თვითღირებულება შეიცავს პირდაპირ ხარჯებს, რომელიც გათვალისწინებულია ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკით. სესხებთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება აქტივის ღირებულებაზე კომპანიის პოლიტიკით.

მოგება და ზარალი რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით მიღებული სარგებლისა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშებში.

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვებასთან და აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

შემდგომი შეფასება / აღრიცხვა

აქტივად აღიარების შემდგომ ძირითადი საშუალებები აღირიცხება მათი გადაფასების ღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთით ან/და გაუფასურების ღირებულებით გადაფასების თარიღის შემდგომ. გადაფასებები ტარდება საკმარისი სიხშირით იმისთვის, რომ დავრწმუნდეთ, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება მკვეთრად არ განსხვავდება მისი სამართლიანი ღირებულებისგან.

ძირითადი საშუალებების გადაფასებისგან მიღებული გადაფასების ნამეტი აღირიცხება სხვა სრულ შემოსავალში და გროვდება გადაფასების რეზერვად საკუთარ კაპიტალში. თუმცა, გადაფასების ნამეტი აღიარდება მოგებასა ან ზარალში იმ ოდენობით, რაც საჭიროა იგივე აქტივის ჩამოფასების თანხის საკომპენსაციოდ, რომელიც წინა პერიოდში აღიარებული იყო მოგებაში ან ზარალში. თავის მხრივ გადაფასების დეფიციტი აღიარდება მოგებაში ან ზარალში ხარჯად, ამასთანავე შემცირების თანხა უნდა აღიარდეს სხვა სრულ შემოსავალში იმ ოდენობით, რა სიდიდის საკრედიტო ნაშთიც არსებობს გადაფასების რეზერვში ამ აქტივთან დაკავშირებით.

გადაფასების თარიღისთვის აქტივი აისახება დაგროვილი ცვეთის გამოკლებით.

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ცვეთა

მიწა და დაუმთავრებელი მშენებლობა არ იცვითება. ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება ნარჩენი ღირებულების მეთოდით, რათა მოხდეს მათი შესყიდვის ხარჯის გადანაწილება მათი სასარგებლო ვადის განმავლობაში.

სასარგებლო მომსახურების ვადა წლებში

შენობები	20
მანქანა დანადგარები	5
ავეჯი და საოფისე ტექნიკა	5

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მომსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც არსებობს დიდი ალბათობა კომპანიაში ეკონომიკური სარგებლის მიღების და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა, იმის მიუხედავად თუ როდის მოხდება თანხის მიღება. შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები თანხის სამართლიანი ღირებულებით, კონტრაქტით გათვალისწინებული გადახდის პირობების გათვალისწინებით, გადასახადების თუ ბაჟის გარეშე. კომპანიამ დაადგინა, რომ ის არის პრინციპული ყველა შემოსავლის ხელშეკრულებაში, რადგან ის არის მთავარი მოვალე, აქვს ფასის ცვლილების შესაძლებლობა და ასევე ექვემდებარება მარაგების და საკრედიტო რისკს.

ყოველ ხელშეკრულებაზე კომპანია ახორციელებს შემდეგ ნაბიჯებს: ახდენს კონტრაქტის არსებობის იდენტიფიცირებას; განსაზღვრავს შესრულების ვალდებულებას; განსაზღვრავს ტრანზაქციის ფასს; ანაწილებს ტრანზაქციის ფასს თითოეული შესრულების ვალდებულებაზე და აღიარებს შემოსავალს მხოლოდ მაშინ, როდესაც ყველა შესრულების ვალდებულება შესრულდება დაპირებული საქონლის ან მომსახურების მიწოდებით.

შემოსავალი სამშენებლო ხელშეკრულებებიდან აღიარდება შესრულების პროცენტის მეთოდით, რომელიც განისაზღვრება, საანგარიშგებო პერიოდისთვის გაწეული ხელშეკრულების ხარჯების მთლიანი შეფასებული ხელშეკრულების ხარჯებთან შეფარდების პროპორციულად.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან ანგარიშგების თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

გადავადებული მოგების გადასახადი აღარ მიესადაგება ფინანსურ ანგარიშგებებს, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსით აღარ გამოიყენება.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ინვესტიცია აღიარებულია საწყისი ღირებულებით და კლასიფიცირებულია როგორც საწესდებო კაპიტალი.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კოდექსი და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებაზე მომავალ პერიოდში.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებებს. ხელმძღვანელობის მიერ კანონის ინტერპრეტაცია, რომელის მიხედვითაც კომპანია საქმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების გატარების დროს შესაძლებელია გახდეს შემოდავების საგანი საგადასახადო ორგანოთა მიერ. საქართველოს საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობის და გადასახადის დათვლის ინტერპრეტაციისას შეიძლება იღებდნენ უფრო კონკრეტულ და რთულ მიდგომას, ასევე შესაძლებელია, რომ ის ტრანსაქციები და ოპერაციები რაზეც წარსულში არ ყოფილა საგადასახადო ორგანოების მხრიდან დავა, მომავალში გახდეს დავის საგანი, რის შედეგადაც შეიძლება დაერიცხოს მნიშვნელოვანი მოცულობის დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია რეგულარულად ახდენს ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურების შეფასების გადახედვას. ახალი ფასს 9-ს მიხედვით, გაუფასურების მოდელი მოითხოვს გაუფასურების რეზერვს ყველა რისკზე ფინანსური ინსტრუმენტის წარმოქმნის მომენტიდან მისი თავდაპირველი აღიარების მომენტიდან მისი საკრედიტო რისკის გაუარესების მიხედვით.

თუ არ მომხდარა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, ფასს 9 მოითხოვს რეზერვს მომდევნო 12 თვის მანძილზე მოსალოდნელი დანაკარგებზე დაყრდნობით. თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები (გაგრძელება)

გაიზარდა ან/და თუ ფინანსური ინსტრუმენტი არის „გაუფასურებული“, სტანდარტი მოითხოვს რეზერვის შექმნას მისი სასიცოცხლო ვადის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების მიხედვით იმის შეფასება, განიცადა თუ არა ფინანსურმა ინსტრუმენტმა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა განსხვავდება პროდუქტის და რისკის სეგმენტის მიხედვით. კომპანია აღნიშნული საკრედიტო რისკის განსასაზღვრად იყენებს საკუთარ მსჯელობას.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციები

კომპანია შედის გარიგებებში მის დაკავშირებულ მხარეებთან. „ფასს 9“ მოითხოვს ფინანსური გარკვეული ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას სამართლიანი ღირებულებით. კომპანია განიხილავს არის თუ არა გამოყენებული საბაზრო ფასი ტრანზაქციის განხორციელებისას თუ არა, სადაც არსებობს აქტიური ბაზარი ასეთი გარიგებებისთვის. ასეთი მსჯელობის საფუძველს წარმოადგენს მსგავსი გარიგებები არადაკავშირებულ მხარეებთან.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე.

მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე. სასარგებლო გამოყენების ვადა გადაიხედება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს და დაშვებაში ცვლილების საჭიროების შემთხვევაში მოხდება მისი განახლება.

4. გამოცემული ახალი ან განახლებული სტანდარტები და განმარტებები

ფასს 16 - იჯარა

ფასს 16 გამოიცა 2016 წლის იანვარში და ის ჩაანაცვლებს ბასს 17-ს „იჯარა“, ფასიკ 4-ს „როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“, იმკ (SIC) 15-ს „საოპერაციო იჯარა - სტიმულირება“ და იმკ 27-ს „გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“. ფასს 16-ში მოცემულია იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენისა და განმარტებითი შენიშვნების პრინციპები და ის მოიჯარისგან მოითხოვს ყველა იჯარის აღრიცხვას საბალანსო უწყისზე, ბასს 17-ის მიხედვით ფინანსური იჯარის აღრიცხვის ანალოგიურად.

სტანდარტი ითვალისწინებს აღიარების ორ გამონაკლისს მოიჯარეებისთვის - „დაბალი ღირებულების მქონე“ აქტივების (მაგ. პერსონალური კომპიუტერები) იჯარა და მოკლევადიანი იჯარა (ე. ი. იჯარა 12-თვიანი ან ნაკლები ვადით). საიჯარო ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღისთვის, მოიჯარე აღიარებს ვალდებულებას საიჯარო გადასახადის გადახდის თაობაზე (ე.ი. საიჯარო ვალდებულება) და აქტივს, რომელიც წარმოადგენს უფლებას საბაზისო აქტივის გამოყენებაზე იჯარის ვადის განმავლობაში (ე. ი. აქტივის გამოყენების უფლება). მოიჯარეები ვალდებულებები არიან ცალკე აღიარონ საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი და აქტივის გამოყენების უფლების საამორტიზაციო ხარჯი.

4. გამოცემული ახალი ან განახლებული სტანდარტები და განმარტებები (გაგრძელება)

მოიჯარე ასევე ვალდებულია გარკვეული მოვლენების დადგომის შემთხვევაში (მაგ. იჯარის ვადის შეცვლა, სამომავლო საიჯარო გადასახადებში ცვლილება მათი განსაზღვრისთვის გამოყენებული ინდექსის ან განაკვეთის ცვლილების გამო) ხელახლა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება. ზოგადად მოიჯარე საიჯარო ვალდებულების ხელახლა შეფასების თანხას აღიარებს, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირებას.

მეიჯარის აღრიცხვა ფასს 16-ის მიხედვით არსებითად არ განსხვავდება ბასს 17-ის თანახმად არსებული პრაქტიკისგან. მეიჯარე გააგრძელებს ყველა იჯარის კლასიფიცირებას იმავე პრინციპით, როგორითაც ბასს 17-ის მიხედვით და გამოიწნავს ორი ტიპის იჯარას: საოპერაციოს და ფინანსურს.

ფასს 16, რომელიც მოქმედია 2019 წლის 1 იანვარს და ამ თარიღის შემდგომი წლიური პერიოდებისთვის, როგორც მოიჯარეებს, ისე - მეიჯარეებს ავალდებულებს უფრო დეტალური განმარტებითი შენიშვნების წარმოდგენას, ვიდრე ეს ბასს 17-ის და ფასიკ 4-ის საფუძველზე ხდებოდა. კომპანია გეგმავს ფასს 16-ის რეტროსპექტულად მიღებას, ყველა წინასაანგარიშგებო პერიოდისთვის. კომპანია მიიღებს გადაწყვეტილებას სტანდარტი გამოიყენოს იმ ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც წინასწარ განისაზღვრება იჯარებად ბასს 17 და ფასიკ 4-ის გამოყენებით. შესაბამისად, კომპანია სტანდარტს გამოიყენებს იმ ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც წინასწარ არ განისაზღვრება იჯარად ბასს 17-ის და ფასიკ 4-ის გამოყენებით.

შპს „საქსპეცტრანსი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

5. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობები	ავიჯი და საოფისე ტექნიკა	მანქანა დანადგარები	სულ
ისტორიული ღირებულება					
2018 წლის 1 იანვარი	778,169	1,976,122	86,895	347,736	3,188,922
შემოსვლა	607,001	109,968	2,821	38,941	758,730
გასვლა	(865,411)	(1,059,812)	(5,800)	(71,186)	(2,002,209)
2018 წლის 31 დეკემბერი	519,758	1,026,278	83,916	315,491	1,945,443
შემოსვლა	1,313,201	13,226,231	-	63,906	14,603,337
2019 წლის 31 დეკემბერი	1,832,959	14,252,509	83,916	379,397	16,548,780
ცვეთა და გაუფასურება					
2018 წლის 1 იანვარი		171,466	62,780	198,666	432,912
წლის ცვეთა		102,599	3,739	20,825	127,163
გასული ქონების ცვეთა		(110,654)	(606)	(17,454)	(128,714)
2018 წლის 31 დეკემბერი		163,411	65,913	202,037	431,361
წლის ცვეთა		511,221	7,660	36,685	555,566
2019 წლის 31 დეკემბერი		674,632	73,573	238,722	986,927
წმინდა საბალანსო ღირებულება					
2018 წლის 1 იანვარი	778,169	1,804,656	24,115	149,070	2,756,010
2018 წლის 31 დეკემბერი	519,758	862,867	18,003	113,454	1,514,082
2019 წლის 31 დეკემბერი	1,832,959	13,577,877	10,343	140,675	15,561,853

არცერთი ძირითადი საშუალება არ არის გირაოთი დატვირთული

შპს „საქსპეცტრანსი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

6. მარაგები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
დაუმთავრებელი წარმოება	120,436	-	1,888,959
ნედლეული და მასალები	72,954	320,293	428,954
კომპანიის მიერ წარმოებული მასალები	34,847	32,536	24,031
სხვა მარაგები	1,826	2,660	280,793
სულ მარაგები	230,062	355,489	2,622,737

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
მოთხოვნები საიჯარო მომსახურებიდან	76,953	85,205	65,061
სავაჭრო მოთხოვნები	62,381	68,890	73,583
სხვა მოთხოვნები	27,056	86	-
შემცირებული: საექვო მოთხოვნების რეზერვით	(144,105)	(139,217)	(72,106)
გადახდილი ავანსები	-	-	41,000
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	22,285	14,964	107,538

პერიოდის განმავლობაში სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის ცვლილება მოცემულია ქვემოთ ცხრილის სახით:

გაუფასურების რეზერვის ბრუნვა	2019	2018	2017
გაუფასურების რეზერვი 1 იანვრის მდგომარეობით	139,217	72,106	-
გაუფასურების რეზერვის ცვლილება	4,888	67,111	72,106
გაუფასურების რეზერვი 31 დეკემბრის მდგომარეობით	144,105	139,217	72,106

8. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	85,023	23,761	147,864
ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	6,160	-	-
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	91,183	23,761	147,864

ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე კლასიფიცირებულია, როგორც არასარისკო.

9. მიღებული სესხები

მიღებული სესხები 2019 წლის 31 დეკემბრის, 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
მოკლევადიანი სესხები	603,000	593,000	1,211,410
დარიცხული პროცენტი	211,364	146,278	111,372
სულ მიღებული სესხები	814,364	739,278	1,322,782

კომპანიას სესხები მიღებულია მშობელი საწარმოს შპს „აქტივების მართვისა და განვითარების კომპანიისგან“. მიღებული სესხების საპროცენტო განაკვეთი მერყეობს 10-დან 11 % -მდე. დარიცხული პროცენტი წარმოადგენს მოკლევადიან სასესხო ვალდებულებებს.

კომპანიის საპროცენტო ხარჯმა 2019 წელს შეადგინა 65,036 ლარი (2018: 115,158 ლარი).

შპს „საქსპეცტრანსი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

10. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2007 წლის 23 აგვისტოს წესდების მიხედვით განისაზღვრა 818,110 ლარად, რომლის 100%-იანი წილის მფლობელი იყო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სახელმწიფო მომსახურების ბიურო“. 2018 წელს კომპანიის საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 39,718 ლარით და შემცირდა 1,758,533 ლარის ოდენობით. ასევე მოხდა ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვის ზრდა 617,531 ლარის და შემცირება 32,803 ლარის ოდენობით.

2019 წელს კომპანიის საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 15,510,906 ლარის ოდენობით, კერძოდ კომპანიის კაპიტალში საბოლოო მფლობელის მიერ - შპს „აქტივების მართვისა და განვითარების კომპანია“ კაპიტალში შემოტანილი იქნა სოფ. განმუხურში არსებული 10683 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ღირებულებით 84,395,70 ლარი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები ღირებულებით 12,599,194 ლარი, ასევე კომპანიის კაპიტალში შემოტანილია სხვა აქტივები და ფულადი სახსრები ჯამური ღირებულებით - 2,911,712 ლარი.

2018 წელს კომპანიამ გამოაცხადა და გასცა 15,318 ლარის ოდენობის დივიდენდი. 2019 წელს კომპანიას არ გაუცია დივიდენდი და არც კაპიტალი შეუმცირებია.

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
მიღებული ავანსები	99,974	7,032	1,854,389
გადასახდელი ხელფასი	64,346	47,923	42,857
სავაჭრო ვალდებულებები	10,597	16,507	67,224
სხვა ვალდებულებები	694	1,149	6,454
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	175,611	72,611	1,970,924

12. ამონაგები

	2019	2018
რეალიზებული საქონლით მიღებული შემოსავალი	319,012	47,933
წარმოებული მარაგების რეალიზაცია	250,871	1,005,272
გაწეული მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი	31,659	2,104,247
საიჯარო შემოსავალი	17,034	88,023
სხვა შემოსავალი	5,000	11,729
სულ ამონაგები	623,576	3,257,204

კომპანიის შემოსავლის დიდი ნაწილი კომპანიის წარმოებული საქონლის ე.წ. სარწყავი ფარებისა და ღარების რეალიზაციას უკავია, რომელიც ადგილობრივ ბაზარზე იყიდება.

კომპანიის შემოსავალი ასევე შედგება საკუთრებაში არსებული ქონების: სასაწყობე ფართისა და არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის იჯარით მიღებული შემოსავლისგან.

13. არასაოპერაციო ხარჯი

	2019	2018
მარაგების ჩამოწერით მიღებული ზარალი	304,942	-
საპროცენტო ხარჯი	65,036	115,158
აქტივების გასხვისებით მიღებული ზარალი	-	913,653
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	3,445	4,340
სულ არასაოპერაციო ხარჯი	373,423	1,033,151

შპს „საქსპეცტრანსი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

13. არასაოპერაციო ხარჯი (გაგრძელება)

კომპანიის არასაოპერაციო ხარჯების დიდ ნაწილს წარმოადგენს მოძველებული მარაგები, რომელთა ღირებულების კომპენსაცია შეუძლებელია, რომლებიც 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 304,942 ლარს.

არასაოპერაციო ხარჯების დიდ ნაწილი ასევე მოიცავს საპროცენტო ხარჯებს, სესხები მიღებულია კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი შპს „აქტივების მართვისა და განვითარების კომპანიისგან“.

14. არასაოპერაციო შემოსავალი

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, კომპანიის არასაოპერაციო შემოსავალი შეადგენდა 493 ლარს, ხოლო 2018 წელს 1,294,893 ლარს შესაბამისად.

2018 წელს კომპანიამ შპს „აქტივების მართვისა და განვითარების კომპანიას“ სასესხო დავალიანების სანაცვლოდ გადასცა უძრავი ქონება, (მდებარე ქ. თბილისი, ცაბაძის ქ. N17ა-ში არსებული მე-3 სართულზე არსებული 537.44 კვ.მ, და მე-4 სართულზე არსებული 533.44 კვ.მ ფართები), ღირებულებით 1,270,536 ლარი, რომელიც კომპანიის არასაოპერაციო შემოსავალშია ასახული.

15. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

	2019	2018
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	217,132	491,108
პირდაპირი ხელფასი	191,060	215,751
პროექტებზე ჩამოწერილი საწვავი	21,556	28,186
პროექტების თვითღირებულება	13,744	1,839,812
სხვა ხარჯი	3,663	11,309
სულ რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	447,155	2,586,166

16. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

	2019	2018
ცვეთა და ამორტიზაცია	555,566	129,386
ხელფასის ხარჯი	508,646	449,811
კომუნალური ხარჯი	155,157	39,296
პროექტების დანახარჯები	98,131	-
მომსახურების ხარჯი	59,532	65,660
ქონების გადასახადი	23,665	-
ტრანსპორტირების და შენახვის ხარჯი	19,503	58,406
დაზღვევის ხარჯი	7,542	-
საწვავის ხარჯი	6,408	17,166
უიმედო ვალების ხარჯი	4,888	67,111
სხვა ხარჯი	19,760	106,776
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	1,458,798	933,612

17. მოგების გადასახადი

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც ძალაში შესვლის თარიღი 2023 წლის 1 იანვრით განისაზღვრა. ახალი ნორმატიული აქტების თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგებას, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში ზემოაღნიშნული ცვლილებები ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად, როგორცაა მაგალითად, არასაბაზრო ფასად შესრულებული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება. ასეთი ოპერაციების დაბეგვრა სცდება ბასს 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ მოქმედების არეალს და 2018 წლის 1 იანვრიდან აღირიცხება საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების მსგავსად.

18. პირობითი ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი გარემოებები

საგადასახადო კანონმდებლობა.

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებებს.

ხელმძღვანელობის მიერ კანონის ინტერპრეტაცია, რომელის მიხედვითაც კომპანია საქმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების აღრიცხვის დროს შესაძლებელია გახდეს შემოდავების საგანი საგადასახადო ორგანოთა მიერ. საქართველოს საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობის და გადასახადის დათვლის ინტერპრეტაციისას შეიძლება იღებდნენ უფრო კონკრეტულ და რთულ მიდგომას, ასევე შესაძლებელია, რომ ის ტრანზაქციები და ოპერაციები რაზეც წარსულში არ ყოფილა საგადასახადო ორგანოების მხრიდან დავა, მომავალში გახდეს დავის საგანი, რის შედეგადაც შეიძლება დაერიცხოს მნიშვნელოვანი მოცულობის დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მათი ინტერპრეტაცია სწორია და კომპანიის გადასახადი, სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიცია შენარჩუნდება შესაბამისად. აქედან გამომდინარე, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ მომხდარა პოტენციური საგადასახადო ვალდებულების რეზერვის აღიარება (2018 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ასევე არ არსებობს შესაბამისი რეზერვი).

პანდემიის გავრცელება და მასთან დაკავშირებული პირობითი ვალდებულებები

ამასთანავე, როგორც 22-ე შენიშვნაში აღინიშნა კორონავირუსის გავრცელების შესახებ (კოვიდ-19), იგი გავლენას ახდენს როგორც ადგილობრივს ასევე გლობალურ ბაზრებზე. ზემოქმედების ზომა, მასშტაბები და ხანგრძლივობა არ არის ზუსტად განსაზღვრული. ბაზარზე, რომელშიც კომპანია ოპერირებს, არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, მენეჯმენტი თვლის, რომ ამ მოვლენას მნიშვნელოვანი გავლენა არ ექნება კომპანიის საოპერაციო საქმიანობაზე.

19. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის რისკის მართვის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. საოპერაციო და იურიდიული რისკის მართვის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები.

ფინანსური რისკი მოიცავს **საბაზრო რისკს** (რომელშიც შედის: სავალუტო რისკი, საპროცენტო განაკვეთის და ფასების რისკი), **საკრედიტო რისკი** და **ლიკვიდობის რისკი**. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის მთავარი ამოცანა და მიზანია რისკის ლიმიტების დადგენა და უზრუნველყოფა რომ რისკების ზემოქმედება დარჩეს მოცემულ ლიმიტებში.

საკრედიტო რისკი

კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკებს, აღნიშნული რისკის მიხედვით საფრთხეს წარმოადგენს ის, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ სხვა მხარისათვის ვალდებულების ვერ შესრულებით წარმოიქმნება ფინანსური ზარალი. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ პროდუქციის შემდგომი გადახდის პირობით რეალიზების საფუძველზე და ასევე სხვა ტრანზაქციების საფუძველზე, რომელიც ზრდის ფინანსურ აქტივებს.

ფინანსური აქტივები:	შენიშვნები	31-დეკ-2019	31-დეკ-2018	01-იან-2018
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	22,285	14,964	66,538
ფული და ფულის ეკვივალენტები	8	91,183	23,761	147,864
სულ ფინანსური აქტივები		113,468	38,725	214,402

ფინანსური ვალდებულებები	შენიშვნები	31-დეკ-2019	31-დეკ-2018	01-იან-2018
მიღებული სესხები	9	(814,364)	(739,278)	(1,322,728)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები, (მიღებული ავანსების გარდა)	11	(75,637)	(65,579)	(116,535)
სულ ფინანსური ვალდებულებები		(890,001)	(804,857)	(1,439,317)

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებები მიმართებაში გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. ხელმძღვანელობა აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან.

19. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)**სავალუტო რისკი**

უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი, რომ სამართლიანი ღირებულება ან ფინანსური ინსტრუმენტების სამომავლო ფულადი ნაკადები იქნება არამყარი უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო. კომპანიის ტრანზაქციების აბსოლუტური უმეტესობა ხორციელდება ლარში. კომპანია არ იყენებს დერივატივებს (წარმოებულ ფინანსურ აქტივებს) რომ მართოს უცხოურ ვალუტასთან დაკავშირებით წარმოქმნილი რისკები. ამავდროულად კომპანია ასეთი რისკების შემცირებას ცდილობს, უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების მართვის გზით. კომპანიას არ აქვს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

ლიკვიდურობის რისკი

წარმოადგენს რისკს რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების გასტუმრებას. კომპანიის აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. ხელმძღვანელობა აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოყვანილია კომპანიის ვალდებულებები 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დარჩენილი საკონტრაქტო ღირებულებით. თანხები რომლებიც მოცემულია ვადების ცხრილში წარმოადგენს საკონტრაქტო არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. ამგვარი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არსებული ნაშთებისგან რადგან მასში ნაშთები წარმოდგენილია დისკონტირებული ღირებულებით. გადახდები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია მიმდინარე კურსით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრისთვის, ასევე 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოცემულია ქვემოთ:

31 დეკემბერი 2019	1 წლამდე	1 დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	22,285	-	-	22,285
ფული და ფულის ეკვივალენტები	91,183	-	-	91,183
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	(814,364)	-	-	(814,364)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები, (მიღებული ავანსების გარდა)	(75,637)	-	-	(75,637)
ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია	(776,533)			(776,533)

31 დეკემბერი 2018	1 წლამდე	1 დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14,964	-	-	14,964
ფული და ფულის ეკვივალენტები	23,761	-	-	23,761
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	(739,278)	-	-	(739,278)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები, (მიღებული ავანსების გარდა)	(65,579)	-	-	(65,579)
ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია	(766,132)			(766,132)

შპს „საქსპეცტრანსი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

19. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

1 იანვარი 2018	1 წლამდე	1 დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	66,538	-	-	66,538
ფული და ფულის ეკვივალენტები	147,864	-	-	147,864
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	(1,322,782)			(1,322,782)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები, (მიღებული ავანსების გარდა)	(116,535)	-	-	(116,535)
ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია	(1,224,915)			(1,224,915)

20. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება იმ თანხის რაოდენობით, რა თანხადაც შესაძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის გაცვლა/რეალიზაცია მიმდინარე ანგარიშსწორებისას თანაბარი ინფორმაციის მქონე და ნებაყოფლობით მხარეებს შორის გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით. გარდა სალიკვიდაციო ან ძალდატანებითი გაყიდვის ტრანზაქციებისა.

აქედან გამომდინარე ქვემოთ წარმოდგენილი შეფასებები აუცილებლად არ მიუთითებს იმ თანხას, რომელის მიღებაც შეუძლია კომპანიას, რომელიმე ფინანსური ინსტრუმენტის ბაზარზე მისი აქტივების სრული რეალიზაციის შემთხვევაში.

კომპანიის ბალანსზე არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი და საბალანსო ღირებულების შედარება იხილეთ ქვემოთ:

	31 დეკემბერი 2019		31 დეკემბერი 2018		1 იანვარი 2018	
	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება
ფინანსური აქტივები:	113,468	113,468	38,725	38,725	214,402	214,402
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	22,285	22,285	14,964	14,964	66,538	66,538
ფული და ფულის ეკვივალენტები	91,183	91,183	23,761	23,761	147,864	147,864
ფინანსური ვალდებულებები:	(890,001)	(890,001)	(804,857)	(804,857)	(1,439,317)	(1,439,317)
მიღებული სესხები	(814,364)	(814,364)	(739,278)	(739,278)	(1,322,728)	(1,322,728)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები, (მიღებული ავანსების გარდა)	(75,637)	(75,637)	(65,579)	(65,579)	(116,535)	(116,535)

შპს „საქსპეცტრანსი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

21. დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ოპერაციები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია ბასს 24 -ით „დაკავშირებული მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“, წარმოადგენს :

მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამშრომლები); ფლობს

წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;

ა) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივი საწარმო.

ბ) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;

გ) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.

დ) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია` 9 (ა) ან (დ)-ში;

ე) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდებს.

ვ) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ოპერაციები წარმოდგენილია ქვემოთ:

მიღებული სესხები	ურთიერთობის სახე	31-დეკ-2019	31-დეკ-2018	1-იან-2018
შპს“ აქტივების მართვისა და განვითარების კომპანია“	მფლობელი	603,000	593,000	1,211,410

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	ურთიერთობის სახე	31-დეკ-2019	31-დეკ-2018	1-იან-2018
შპს“ აქტივების მართვისა და განვითარების კომპანია“	მფლობელი	3,222	-	1,038

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	ურთიერთობის სახე	31-დეკ-2019	31-დეკ-2018	1-იან-2018
შპს“ აქტივების მართვისა და განვითარების კომპანია“	მფლობელი	166	166	-

არასაოპერაციო შემოსავალი	ურთიერთობის სახე	2019	2018
შპს „ აქტივების მართვისა და განვითარების კომპანია“	მფლობელი	-	1,270,536

ფინანსური ხარჯი	ურთიერთობის სახე	2019	2018
შპს „ აქტივების მართვისა და განვითარების კომპანია“	მფლობელი	65,036	115,158

უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურებამ საშემოსავლო გადასახადის გარეშე, ხელფასისა და სხვა სარგებლის სახით 2019 წელს შეადგინა 43,482 ლარი (2018: 47,705 ლარი).

22. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ხელმძღვანელობამ ეს ფინანსური ანგარიშგება გამოსაშვებად დაამტკიცა 2020 წლის 20 აგვისტოს.

2020 წლის მარტის და ივლისის თვეებში მშობელი კომპანიის შპს „აქტივებისა და მართვის კომპანიის“-მიერ კომპანიის კაპიტალში ფულადი ფორმით შემოტანილ იქნა 3,294,682 ლარი, ხოლო 2020 წლის მარტის თვეში კომპანიის კაპიტალი შემცირდა არაფულადი ფორმით 13,830,986 ლარის ოდენობით.

2020 წლის დასაწყისიდან, მთელს მსოფლიოში ფართოდ გავრცელდა კორონავირუსი (კოვიდ-19) და 2020 წლის 11 მარტს „მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ“ ვირუსი პანდემიად გამოაცხადა. ვირუსის გავრცელების შედეგად სიტუაცია სწრაფად ცვალებადია. აღნიშნულმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია გლობალურ, ისე ადგილობრივი ბაზრებზე ამასთანავე, მას მნიშვნელოვანი პირდაპირი შედეგი არ ჰქონია კომპანიის საქმიანობაზე ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღისთვის.

საანგარიშო პერიოდის შემდგომ პერიოდში არ გამოვლენილა სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები, რომელიც უნდა აისახოს ფინანსურ ანგარიშგებაში.